№ 21 იანვარი 29, ოთხშაბათი 1892 იანვარი 29, ოთხშაბათი № 21


გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზე.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეკი.

1877—1892 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892



ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 29 იანვარს,

ბ ე ნ ე ფ ი ს ი

## ვ. ლ. გ უ ნ ი ა ს ი

ვლ. ალექსიევ-მესხიევისა და კ. ყიფიანის მონაწილეობით

ქართულ დრამატიულ საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა

## დ ა - ძ მ ა

ორგინალური დრამა 5 მოქ. მეგრელთ წარსულ ცხოვრებიდან ვ. გუნიასი
მოქმედება სწარმოებს სამეგრელოში მე XVII საუკუნის დამლევს
მეხუთე მოქმედების პირველს სურათში ბ-ნ რატილის ქართული ხორო შეასრულებს შემდეგ სიმღერებს: „სიმღერა სასიკვდილოდ განწირულთა“, „სიმღერა მხედართა“, „სიმღერა გმირთა“ და ბოლოს იგალობებს „ლოცვას“
„ამ პიესისათვის შეკერილია ახალი მდიდრული ისტორიული ტანისამოსი“

II

დასასრულ პირველადვე ახალი პიესა

## ჩათრევას ჩაყოლა სჯობიან!

ვოდევ.-ხუმრობა 1 მოქმედ. ვალ. გუნიასი
მოქმედება სწარმოებს ტფილისში, სოლოლაკის ქუჩაზე
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი საფაროვისა, ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა ტარიელოვისა, აგიაშვილისა; ბ-ნნი: ალექსიევ-მესხიევი, ყიფიანი, გედევანოვი, კანდელაკი, შათირიშვილი, კიკნაძე, ადამიძე, იანქოშვილი, გუნია და სხვა.

შეგირდებისათვის კუპონები ლოჟაში 50 კ.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
დასაწყისი სწორედ 7¹/₂ საათზედ.

## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 10 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—14)

წიგნების გამომცემ ქართველთა ამხანაგობის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ამხანაგობის აგენტებად დანიშნულნი არიან: ბაქოში ბ. ივანე რატიშვილი (მასწავლებელი), ახალქალაქში ბ. პარმენ ჯავროვი და ახალ-სენაკში ბ. ბესარიონ მიქაძე. (3—2)


ტფილისი, 25 იანვარი

წლევანდელს „ივერიაში“ (№№ 18 и 19) დაბეჭდილი იყო ივრის ხეობიდამ მოწერილი ამბავი. საგანი, რომელსაც იხსენიებს კორესპონდენცია, მეტად დიდის ყურადღების ღირსია, მეტად რთული და ამასთანავე მეტად ბეჯითად და ჩხუა-დასმით გამოსარკვევი. საქმე იმაშია, რომ მაზრის უფროსი თ. ჯანდიერი მისულა ს. საგარეჯოში და აუხსნია შეკრებილ ხალხისათვის, რომ დღეს თქვენს საერთო ბეღელში 7,000 ფუთი პური გაქვთო; რომ ყოველ წლივ ასე აგროვოთ, კარგი პატრონობა და ზედამხედაობა გაუწიოთ და ისე არა ჰფანტოთ და ჰფლანგოთ, როგორც აქამდისაო, ეგრე მოგროვილის პურის გასყიდვით შეგიძლიანთ კაი მოზდილი თანხა იქონიოთ ბანკში რამდენისამე წლის შემდეგ და მაგ ფულით თქვენს საზოგადოებურს საჭიროებას გაუძღვეთ, თუნდ მამულებიც იყიდოთო. რაც მაღაზიები დაარსდა ჩვენში, მას აქედ რომ ეგრევე მოქცეულიყავით, ეხლა იმოდენა ფული გექნებოდათ, რომ მარტო იმის სარგებელიც საკმარისი იქნებოდა თქვენი საზოგადო საჭიროება გაესტუმრებინა და სხვა საკეთილო საქმეებისათვისაც გადაგრჩებოდათო.

რაც აქამდე უწესოება იყო ამ პურის მაღაზიების საქმეში, იმან კინაღამ ამ საქმეს ბოლო არ მოუღო. ხოლო ეხლა ბ-ნი გუბერნატორი, როგორც ნამდვილად ვიცით, შესდგომია ეს საქმე იმისთანა წესსა და რიგში ჩააყენოს, მისცეს იმასთანა აგებულება და განწყობილება, რომ წესით და რიგით მოგროვილს პურს და ყოველ გვარ ხორბალს წესით და რიგითვე პატრონობა და ზედამხედაობა ჰქონდეს თვით ხალხისაგან და მიმართული იყოს ისე, რომ ამ გზით ყოველს სოფლის საზოგადოებას გუბერნიაში ცალკე საზოგადოდ კუთვნილი თანხა-ფული გაუჩინოს საზოგადოებისვე საკეთილოდ მოსახმარებლად. თუ ეს კეთილშობილური განზრახვა ბ-ნ გუბერნატორისა შესრულდა, არ გავა ათი და ოცი წელიწადი, რომ ჩვენის გუბერნიის გლეხ-კაცობა ფერს იცვლის, თავისს საკუთარს ფეხზე დაჰდგება და, წელში გამართული ქონებით და შეძლებით, გაწურთნული საზოგადო საქმის აღჩენით, პატრონობით და ზედამხედაობით, სულ სხვა კაცად დაენახვება ქვეყანას, სულ სხვა გაბედულობით, სხვა აზრით და ფიქრით, სხვა სითამამით, სხვა ადამიანურის ღირსების გრძნობით გამოვა არსებობისათვის საჭიდაოდ.

ჩვენმა თავად-აზნაურობამაც რომ ამ გზით როგორმე აიჩინოს წყარო საზოგადოებურ ქონებისა თავის საზოგადოებურ საჭიროების გასაძღოლად, მაშინ აღარ ექმნება მიზეზი ამდვენის წუწუნისა, რომ ღარიბნი ვართ და გვიშველეთ რამეო. ეს ისეთი ძნელი საქმე არ არის, როგორც პირველის შეხედვით ეგონება ზოგიერთს. აქ საჭიროა მარტო მხნე მეთაური კაცი, რომელმაც უნდა იკისროს ეგრე გაცალკევებული და დაქსახული ცალკე ინტერესებით თავად-აზნაურობა ერთის საზოგადო აზრით და სურვილით შეჰკრას, შეათანხმოს განსმჭვალოს და გამარჯვება საქმისა უეჭველია.

ეს მარტო სიტყვამ მოიტანა და სხვათა შორის იმიტომ ვსთქვით. როგორც ამაზე, ისეც გლეხ-კაცობის მაღაზიების საქმეზე, იქნება არა ერთხელ შეგვხდეს შემდეგშიაც ლაპარაკი და მაშინ, ჩვენის შეძლებისამებრ, ვრცლად მოვილაპარაკებთ. ეხლა-კი საგნადა გვაქვს აღვნიშნოთ მეორე ახალი საგანი, რომლის გამოც სოფ. საგარეჯოში სჯა და რჩევა ჰქონიათ ბ-ნს მაზრის უფროსს თ. ჯანდიერს და ხალხსა.

ბ-ნს ჯანდიერს უთქვამს, რომ მარტო პურის მაღაზიები არა კმარაო აქაური გლეხ კაცობა ფეხზე წამოაყენოს, წელში გამართოსო. მაგ წყაროს სხვაც რამ უნდა მივაშველოთ, რომ ქონებაც გავიძლიეროთ და ჩხუაც ვისწავლოთო. ჩვენი ქვეყანაო საერთოდ და კახეთი საკუთრივ იმ თავით ამ თავამდე დედა-ადგილია ვაზისაო, მაგრამ, საუბედუროდ, არც ვაზის მოვლა და ფარეზობა ვიცით და არც ღვინის კეთება და დაყენებაო. ამის გამო ჩვენებურს ღვინოს დიდი ბაზარი არა აქვს, მარტო შინ თუ იყიდება, ისიც იეფად და გარედ გატანისათვის არც ღირსება აქვს და არც გამძლეობაო. ნაცვლად იმისა, რომ ჩვენს ღვინოებს დიდი ბაზარი ჰქონდეს უზარმაზარ რუსეთის სახელმწიფოში და იქა ვყიდდეთ ჩვენს ღვინოებსა, რუსეთი ღვინოს სხვა ქვეყნებიდამ ეზიდებაო და ჩვენ ჩვენებურს სირაჯების ხელში ვრჩებითო, მაშინ როდესაც ჩვენებური ღვინო ძლივს გასწვდებოდა მარტო რუსეთის ბაზარსაო და მამასადამე მუშტარი დიდი ეყოლებოდაო. ეს ხომ ყველამ იცის, საცა დიდი მუშტარია, ფასიც კარგია. მაშ რა უნდა ვქნათო, უკითხავს ბოლოს თ. ჯანდიერს, რომ ჩვენს ღვინოს ბაზარი გავუჩინოთო? უნდა ვიცოდეთ ვაზს თავის ბუნებისამებრ როგორ მოვუაროთ და ვუფარეზოთ, ღვინო როგორ ვაკეთოთ და დავაყენოთ, რომ არც ბუნებური ღირსება დავუკარგოთ და გამძლეობაც შევძინოთ.

ამისათვის ერთი ღონეაო, უთქვამს ბ-ნს მაზრის უფროსს: ერთი ორმოცის დღის საზოგადო მამული გაიღოთ, განაჩენი მოგვცეთ იმისა, რომ თვითვეულმა თქვენგანმა წელიწადში ამ მიწაზე იმუშაოს 5—10 დღემდე გამოცდილ და ნასწავლ კაცთა ჩვენებით, მოგვცეთ თვითვეულმა კომლმა დღიურზე ნახევარ ფუთი ყურძენი, ვიდრე ახალშენი გაშენდებოდეს სანიმუშო საცდელ ღვინოების მოსამზადებლადაო. თუ ამაებს შეასრულებთო, დაუსკვნია თ. ჯანდიერს, ოთხის წლის შემდეგ ორმოცის დღის საზოგადო საერთო

# ფელეტონი

## სიმონა

(მოთხრობა გლეხ-კაცობის ცხოვრებისა)

XII

(შემდეგი. იხ. „ივერია“ № 20)

— რავა იქნება ღამე არ უთიო, შვილო, სალოცავია ჩვენი. რამდონი ოჯახი ამოუხოცია ხატის ბრალს! ჯერ ცოცხალი მაინც ვართ და ერთი ოჯახიდან არ ევიდეს კაცი, ასე სალოცავის დავიწყება რავა იქნება! უნდა წახვიდე, შვილო, და ღამე უთიო.

— რა ვქნა, ბატონო, აქეთ შენ ავათ ხარ, აგერ ბალანაი ძუძუზე მყავს. დეილოცა მისი დიდება, იცის ჩვენი საცოდაობა და არ გვიწყენს.

— რა ვუყოთ, შვილო, მერე რომ ავათ ვარ! ხატს თავისი უნდა. ბალანაი ჩვენს მარიამს დუუტიე დილამდი, მარიამ არ წავა, ახალ-ნალოგინევია. ასე, ბალანაი დილამდი მარიამს დუუტიე, დილას მოხვალ, ბალანას დააძუძურებ და, რომ დარეკენ, ისევ წახვალ.

— შენი ნებაა, ბატონო, შენ უფრო იცი, მარა ისე რიგი და წესი არ არის—ჩემი ქმარი ნაობახში ლპებოდეს და მე ღამის თევაში ქეიფს და თამაშს ვუყურო. თუ ღმერთი მაღრისებდა მის მოსვლას, მაშინ ღამის სათევშიც წევიდოდით და სალოცავსაც ვილოცავდით. თუ არა და არამც მიცოცხლია უიმისოთ ერთი წამი!

— შვილო, იმიზა უნდა კიდეც ღმერთს და ხატს ხსენება, რომ შინ არ გვყავს. ეგებ გადმოხედოს ჩვენს საცოდაობას და არ დაგვიკარქოს ჩვენი მაცოცხლებელი. ვაი, ვინცხამ მე იგი ამდონ ხანს სანახავათ დამიკარქა, იმას დუუკარქე საქიოც და საიქიოც! თუ უდანაშაულოთ-კი დევეწვა, წმინდაო გიორგი, შენ დაწვი და დუუდაგე საცხოვრებელი! წადი, შვილო, წადი და შეეხვეწე შენს სალოცავს, უცოდველი ადამიანი ხარ, შენსას გეიგონებს.

— ბატონო, შენს საწყენს ვერ ვიზამ, თუ არა ჩემს ნებაზე რომ ყოფილიყო, არაფერამდი არ წევიდოდი. რაღამც შენი ნებაა, წავალ.

ასეთს ლაპარაკში იყვნენ გიორგობა-წინ დღით ავად-მყოფი ქეთევან და მისი რძალი, დარიკო. პირველის შვილი და მეორესი ქმარი, სიმონა-კი, ამ დროს საპატიმროში იჯდა; იმის განთავისუფლების ვადას ჯერ კიდევ ბევრი უკლდა.

დარია სიმონამ ორსული დასტოვა. რამდენისამე თვის შემდეგ სიმონას დაპატიმრებიდამ დარია „დალოგინდა“ და მიეცა ვაჟი, რომელსაც ნათლობაში უწოდეს გაბრიელ, ბუბუას სახელი. სიმონას ჯერ არ ენახა თავისი პატარა გაბრიელ. მართალია, ქეთევანმა და დარიამ მოინდომეს ბავშვის წაყვანა საპატიმროში,—ვაჩვენებთო, მაგრამ, როცა უნდა წასულიყვნენ, იმის წინკვირით სიმონას შემონათვალი სიტყვა მოუვიდათ:—„თუ ჩემი წყეინება არ გინდებიან, ჩემთან სანახავათ ნუ მოხვალთ, მე არ მინდა ჩემს ცოლს აქანაი ვიგინდარაებმა დაუწყოს ჩქმეტა“-ო. ამას შემდეგ დარია, რა თქმა უნდა, აღარ წავიდოდა.

ჭეშმარიტებაა, რომ ჯავრი და ნაღველი ადამიანს აჰკნობს, აჰლექებს, მაგრამ დარიას შესახებ არ გამართლდა ეს ჭეშმარიტება: თუმცაღა ამ ქალს თვალები ეწოდა ქმრის მოშორების დარდით ტირილის გამო, მაგრამ ლოგინობის შემდეგ მაინც ისე „გაიხვითქა“, ისე გაივსო მისი ტანი, რომ ტყავში აღარ ეტევოდა, სილამაზეც ერთი ორად მოემატა.—„აი ძაღლის საჭმელი, აი! ამას ჭკუა აქ! მე ასე გავსუქთი და ჩემი სიმონ-კი ნაობახში დნება!“ ბევრჯელ მწარედ მოუჩქმეტია დარიას ამ სიტყვებით თავისი ხორცი.

— ნუ, შვილო, ნუ, თავს ნუ შეიძულებ, ღმერთი არ გვიზამს, რომ ხორცის საგლეჯათ გაგვიხადოს საქმე! რა ვქნათ, ცოტა კიდევ გევიჰივროთ და ღმერთი გვაღრისებს. შენ ყოლიფერს მოესწრობი, ბალანაი ხარ. მე რას მიყურებ, მიწაში მიმავალს! რა ჭკუაა, შენივე ხორცი შეგიძულებია და ძაღლსავით გლეჯ! რა უყოთ, დამოწიფულდი და ტანი მოგემატა! ეტყოდა რძალს ქეთევან, როცა შეამჩნევდა, რომ თავისს ხორცს თითონვე იგლეჯს და იჩქმეტსო.

— პირი დეიბანე, შვილო, ტანზე ჩეიცვი, ქალსავით წადი, ასე რავა იქნება! უთხრა ქეთევანმა რძალს, როცა ღამისათევში წასვლაზე დაიყოლა.

— არა, ბატონო, ამას ველარ დაგიჯერებ, არც პირს დევიბან და არც ძველს გევიძრობ, ასე რომ ვარ, ასე ამ გვარათ წავალ.

ვენახი გექნებათ ახალს წესზედ გაშენებულიო. გარდა ამისა, ყველა თქვენგანი, როცა იმუშავებს ამ ზვარში ამ საქმეში გამოცდილ და ნისწავლ კაცთა ჩვენებით, ისწავლის, როგორ უნდა მოევლოს ვაზსა, ეფარეზოს, ღვინო როგორ დააყენოს, გააკეთოსო.

შინაგანი აზრი, ანუ უკედ ვსთქვათ, ქვა-კუთხედი მთელის ამ სარჩიელისა, რაც ზემოდა ვსთქვათ, ის არის, რომ ჩვენს გლეხ-კაცობას გაუღვიძოს თვით-მოქმედების სურვილი მისდა საერთო საკეთილდღეოდ. გონიერი დ კეთილ მყოფელი კაცი არ შეიძლება მთელის თავისის თანაგრძნობით არ მიემხროს ამისთანა აზრს, იმიტომ-რომ მარტო თვით-მოქმედებაა თითქმის ერთად-ერთი სახსარი ამ ჭირ-ბოროტიანს ქვეყანას გაუძლვეს კაცი სახელითა და გამარჯვებითა. ეს ერთი. მეორე ისა, რომ ჩვენი ამ ყოფაში ჩამგდები, რაშიაც დღესა ვართ—თავად-აზნაურნი თუ გლეხკაცობა,—ჩვენი სიღარიბე და უქონლობა, ჩვენი გონებით დაუძლურება, გულით დამდაბლება მარტო იმას უნდა მიეწეროს, რომ ყველანი ცალ-ცალკე გავედით, ერთმანეთს დავშორდით, ცალკე ღობეები შემოვივლეთ და ცალკე შევიკეტენით. ის აღარ გვახსოვს, რომ ადამიანი ერთი იმისთანა სულიერია, რომელიც ერთის მხრით თავისს თავს ეკუთვნის და მეორის მხრით საზოგადოებას. აი ეს მეორე მხარე, უფრო შემძლები კაცი კაცურად აცხოვროს, ქონებით თუ გონებით გაალონიეროს, აი ეს მეორე მხარე, ვამბობთ ჩვენ, ჩამოგვეთალა, თითქო მეტ ხორციაო და დავრჩით ქვეყანაზედ მარტო მეორის ნახევრის ანაბარად, ესე იგი, ცალ-ფეხად, ცალ-ხელად და ცალ-თვალად.

დღეს საზოგადო საქმისათვის ხელიც გაგვიშეშდა, ფეხიც და თვალიც დაგვეხუჭა, რადგანაც თუ საქმე არ არის, არც წვრთნაა, არც ვარჯიშობა და თუმც მეორე ხელი, ფეხი თუ თვალი-ღა მოქმედობს, მაგრამ ეს ის ხელია, ის ფეხია, ის თვალია, რომელიც ადამიანის ცალკე ყოფნას ველარ გასცდენია და რომძლის ტიხიკონია: ოღონდ მე ვიყო და თუნდ ქვა-ქვაზედაც ნუ იქნებაო. ნურსად ნუ ეძებთ მიზეზს ჩვენის სიღატაკე-სიუძლურისას, იგი ამ „მეობაშია“, იგი ამ განცალკევებაშია. სხვა რომ არა ვსთქვათ-რა, ეს ხომ ყველამ ვიცით—რა არის წვიმა? თითო წვეთი ცალკე რას გააძღობს დამშეულს მიწას, ხოლო ერთად მოდენილი მკვდარს მიწას ნაყოფიერად ჰხდის და აცოცხლებს ხოლმე.

საერთო ზვარი საგარეჯოსათვის საერთო, საზოგადო საქმე იქმნება. გარდა იმისა, რომ ამ საქმეს საზოგადო ქონების გაძლიერება მოსდევს, იმ დახუჭულს თვალსაც აახილებინებს ხალხს, იმ დაბუქებულს, თუ გაშეშებულს ხელფეხსაც სამოძრაოდ გარჯის, რომელიც ღმერთს დაუნიშნავს საზოგადო საქმისათვის და რომელთ უქმობამ ამოდენა ზიანი და ვნება მოგვიტანა ჩვენ საერთოდ და თითოეული ცალკე თითქმის მიწასთან გაგვასწორა. ყოველი მაგისთანა საქმე, როგორც, ვთქვათ, საერთო პურის მაღაზიაა, ან საერთო ზვარის მოვლა და პატრონობა, სკოლა იქნება არა მარტო იმისი, რაც პირდაპირ ეკუთვნის ან ერთს, ან მეორეს მათგანს, არამედ გონებისაც, გულისაც, ზნისაც, იმიტომრომ არაფერი არ აძლიერებს გონებას, არაფერი არ აღონიერებს და სწმენდს გულსა, არაფერი არა სწურთნის ზნეობას ისე, როგორც საზოგადო საქმე, მისთვის გარჯა და მხნეობა, მისთვის ზრუნვა და ფიქრი.

ჩვენს მდგომარეობაში საზოგადო საქმე, თვით-მოქმედებაზე აგებული, თითქმის ერთად-ერთი გზაა ჩვენის გაჭირებიდამ ხსნისა ზნეობითად, თუ ქონებითად. საზოგადო საქმე ტალია და თვით-მოქმედება კვესია: როცა ერთმანეთს მოხვდებიან, მარტო მაშინ არის ხოლმე ნაპერწკალი.

## ახალი ამბავი

*** ერთს ქართველს ახალგაზდა ყმაწვილს კაცს შეუდგენია საშინაოდ სახმარებელი ახალი „ანბანი“, რომელიც შეიცავს 33 პაწია წიგნაკს. წიგნაკებს ასოების სახელი ეწოდება რიგ-რიგად და შესაფერის სურათებით არის შემკული. ამ ხელად იბეჭდება ჯერ-ჯერობით მხოლოდ პირველი ხუთი წიგნაკი. „ან“-ში მოთავსებულია წერა-კითხვა, „ბან“-ში წვრილი ხალხური ლექსები, „განსა“ და „დონში“ წვრილი ხალხური მოთხრობანი და „ენში“ გასართობი ამბები.

*** ამიერ კავკასიის სახელმწიფო რკინის მმართველობა აცხადებს, რომ ამ წლის 11 იანვრიდგან რკინის გზის ყველა სადგურში, ფოთისა და ბათუმის სადგურამდე, შემოღებულია საშეღავათო ფასები მარცვლეულობის გადასატანადაო. ამიერიდგან პურისა, სიმინდისა და სხვა ჰირნახულის გამგზავნელთ, აწ მომქმედ სავაგონებო ფასის კვალობაზედ რომ ვიანგარიშოთ, 50% დაუკლებენ, ესე იგი აწინდელის ფასის ნახევარს გამოართმევენ.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო აპირებს ჩვენს კავკასიის ზოგიერთს ადგილას, სადაც ღვინის კეთებას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს მკვიდრთათვის და ვენახები-კი ფუჭდება მილდიუსა და ნაცრისაგან, დააარსოს რამდენიმე წამლისა და მაშინის საწყობი. საწყობის დაარსებით სამინისტრო სცდილობს, ცოტად თუ ბევრად, გაუადვილოს წამლისა და აპარატის შეძენა მემამულე გლეხ-კაცებს.

*** მამა იოანე ილიას ძე სერგიევი (კრონშტატელი) არჩეულ იქმნა „კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოების“ წევრად.

*** პეტერბურგში უნდა გაიმართოს საბოტანიკო გამოფენა. გამოფენის გამართვისათვის შედგენილია განსაკუთრებული კომიტეტი. ბ-ნს მედვედევს, სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს რწმუნებულს კავკასიაში, მიუწერია ამ კომიტეტისათვის, რომ გამოფენაში მიიღებს მონაწილეობას გამგეობა კავკასიისა და ამიე-კავკასიის სახელმწიფო ბაღებისაო.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის ყველა უმთავრესს სადგურზე ელექტრონის ზარებია გამართული და, ვიდრე ამ სადგურებს ახლო მყოფ პატარა სადგურიდგან გამოსული მატარებელი მიაღწევდეს ელექტრონის ზარი შეუყენებლად ირეკება.

*** ს. ძალისი: ჩვენში ძალიან გახშირებულია ქურდობა ძროხებისა, ცხენებისა და ღვინისა. ამ ორის კვირის წინად, მაგალითად, ძალისში გაქურდეს ერთი ოსი და ხუთი კოკა ღვინო წაიღეს. ამ სამის დღის წინად კიდევ ერთი მოზვერი დაჰკარგა ძალისში მცხოვრებელმა ვანო მუხრანსკიმ.

*** ტფილისის სამოსამართლო პალატის საადგილ-მამულო გეგმათა ხატვის განყოფილებას (чертежная) უფროსი ბ-ნი სიდამონ ერისთავი, გაზ. „Кавказъ“-ის სიტყვით, დაუნიშნავთ თერგის ოლქის გამიჯვნის დაწესებულების მმართველად, ხოლო სიდამონ ერისთავის მაგიერ-კი დაუნიშნავთ გამიჯვნელთა საქმის წევრი ქუთაისის ოლქის სასამართლოსი, ბ-ნი პოტოცკი.

*** ბევრი დაღუპა და დაანელა ნათლის-ღების დღეს ტფილისში მომხდარმა უბედურებამ, მაგრამ ზოგიერთი გაუბედნიერებია კიდეც. ამას წინად ჩვენს გაზეთში მოყვანილი გვქონდა ერთი შემთხვევა, რომ თათარმა სომეხი გადაარჩინა წყლიდგან, თავისი მოვალე, და სომეხმა ას თუმნიანი თამასუქი დაუხიაო. ეხლა, „Н. О.“-ეს სიტყვით, ერთი კაცი კიდევ სხვა გადაურჩენიათ. ხიდის ჩატეხის დროს, სხვათა შორის, წყალში ჩაცვივნილან ორი ავლაბრელი, გ—ვი და ხ—ვი. გ—ვი ახალგაზდა ყოფილა, ჯან-ღონით სავსე, და ხ—ვი-კი—მოხუცებული, შეძლებული მედუქნე. გ—ვი რის წვალებით გამოვიდა თურმე წყლიდგან და თავისი მეზობელი, მოხუცებული მედუქნეც გამოიყვანა. ამ ყმაწვილს კაცს დიდი ხანია უყვარდა მედუქნეს ქალი და ნათლი-ღებამდე მოიწადინა კიდეც იმისი შერთვა, მაგრამ რადგან ღარიბი იყო და არა ჰქონდა-რა, მედუქნემ სიძედ არ ინდომა. ეხლა-კი შედუქნემ თავისი უარი თანხმობად შესცვალა და მადლობის ნიშნად თავისის ქონების ერთად-ერთი მემკვიდრე, დიდის მზითვის პატრონი ქალი თავისს სიკვდილისაგან გადამრჩენს ყმაწვილს კაცს მიათხოვა თურმე.

*** „Но. Вр.“ იუწყება, რომ პეტერბურგში ამ მოკლე ხანს აპირებენ ახალის ღერბის მარკების გამოცემას. ეს მარკები იმ ნაირად იქნება გაკეთებული, რომ როცა ქაღალდზე დაიკრობა, ერთი კუთხე მოეგლიჯება და მარკა ისე გაუქმდება. ასეთი მარკები იმიტომ იქნება შემოღებული, რომ აქამდის ჯერ ისეთი მელანი არ არის, რომლის წაშლაც არ შეიძლებოდეს და ხშირად უკვე დაკრულს მარკებს გამოიყენებენ ხოლმე.

*** საერო განათლების სამინისტროში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ყველა ვაჟებისა და დედათა გიმნაზიებს უფროსს კლასებში შემოღებულ იქმნას ელემენტარულ ჰიგიენის სწავლება. („Рус. Жизнь“).

*** მოგვყავს იმათი გვარები, რომელნიც „წერა-კითხვის საზოგადოების“ წლიურმა კრებამ 26 იანვარს თავის წევრებად ჩარიცხა: კოსტ. ლ. არდაზიანი, კნ. ოლგა მიქელაძისა, მარ. ესაულოვისა, მარ. კიკნაძისა, ნიკ. თუმანიშვილი, თ. სკ. ერისთავი, თ. არჩ. ციციშვილი, მიხ. ბექანაშვილი, ალ. ზალდასტანოვი, ერ. ბაქრაძე, დავ. ლეონიძე, გიორ. ტარსაიძე, ონის. ცერცვაძე, ნინო ხელთუფლიშვილი, თომა მთავრიშვილი, ვას. კახიძე, სამ. დათეშიძე, ბეს. ლოსაბერიძე, მღ. თოთიბაძე, ნ. პეტრიაშვილი, ალ. გარსევანიშვილი, კოსტ. ჟორჟოლაძე, ბარბარე ვოლსკი, კოს. გოცირიძე, ერ. ნაკაშიძე, გრ. კოპინოვი, ივ. რატიშვილი, ვლად. ვაჩნაძე, იაკ. მანსვეტოვი, გიორ. ალ. ბაგრატიონ-დავიდოვი, ნიკ. აბაზაძე, ზაქ. ჩხიკვაძე, ადამ ბერელაშვილი, პრასკ. ვიტგენშტეინი, ვლად. ალექსი-მესხიშვილი, ივ. ემელიანოვი, არტ. ახნაზაროვი, სამს. დუმბაძე და ივ. ანდრონიკაშვილი.

*** ამ თვის 20, პოლიციის მეშვიდე ნაწილში, ვარშამოვის სახლში ოჰანეზა გერასიმოვის დუქნის ჭერზე პოლიციელებმა იპოვნეს ლურსმით სავსე 14 ყუთი, ღირებული 112 მანეთად. ეს ლურსმები შარშან ივნისის თვეში აკოფოვს მოჰპარეს პოლიციის მეექვსე ნაწილში.

## ქალაქის საბჭო

ორშაბათი, 27 იანვარს

განხილულ იქმნა მოხსენება გამგეობისა მასზედ, თუ ვინ უნდა შეაკეთოს ერევნის გზა, დაწყებული მაცაკანის ხიდიდგან ვიდრე ქალაქის მიჯნამდე. საგუბერნიო მმართველობა ჰფიქრობს, რომ რადგან ამ გზაზე ფოსტა აღარ დადის, ამიტომ ხაზინა აღარ უპატრონებს და აღარც ხარჯს გასწევს მასზეო, მისი ხარჯი უნდა იკისროს

---

— რას ჩივი, შვილო, გლახასავით წასვლა შენი ოჯახის და ქმარის შერცხვენაა!

— ბატონო, შენი ჭირიმე; დამეთხუე, არ მინდა და რა ვქნა!

— არ ვარგა მეთქი, არა!

როგორც იყო, ქეთევანმა დაიყოლია რძალი ახალის კაბის ჩაცმაზე, მაგრამ პირი-კი ვერაფრის გულისათვის ვერ დააბანინა.

ქეთევან და მისი რძალი რომ ამ ლაპარაკში იყვნენ, ამ დროს ვილაცა ქალმა დაიძახა გარედ. „მობძანდი!“ გასძახა დარიკომ.—„აქა მშვიდობა და ყოლიფერი კაი!“ შემოილაპარაკა სახლში და შემოვიდა ფეფიკო.

— რავა ხარ, ქეთევან? საცოდაო, არ მეიკეთე ცოტა მაინც? ჰკითხა გულ-მტკივნეულობით ფეფიკომ ქეთევანს.

— ისე ჩემი შვილის დამღუპველმა მეიკეთოს! ლოგინიდან ცეცხლის პირში ძვილაი ჩამუალ, უპასუხა ქეთევანმა.

— უი, საცოდაო, რაც შენ წვალება გამოსწიე, ასეც რავა ხარ! ნუ გეშინია, ღმერთი მოწყალეა, ცოტა კიდევ მეითმინე და მოგივა შენი სიმონ! გუშინღამ ოსიკელაი ლაპარიკობდა—მერცხალსავით არის, ყველაზე უფრო ფერ-ხორცზეო.

— შენი ჭირიმე, ფეფიკო, ამბავი შეიტყვე? კარგათ არისო? ერთხმად ჰკითხეს რძალმა და დედამთილმა.

— არ გითხარი, მერცხალსავით არისო. რა უჭირს იმისთანა ვაჟკაცს! სიმონისთანა დევს-კი არა, საცოდავებს და ავათმყოფებს აჟენენ ნაობახში ოთხ და ხუთ წელიწადს და იგინი იტანენ. ბიჩა, თქვენ ტყუილა დეიხოცეთ ჯავრით თავი! ასე არ ვარგა, გამოუცდელობაა.

— შენ პირს შაქარი, ჩემო ფეფიკო,—ლოცავდნენ კარგის ახალ ამბის მოტანისათვის ქეთევანი და დარია.

— ქალო, რას შრობი, ხომ მიხვალ ამეღამ ღამის სათევში?—ჰკითხა ბოლოს ფეფიკომ.

— ჩემმა დედამთილმა არ დამაყენა, თვარა არ მინდოდა. მივალ, უპასუხა დარიამ.

— რა ვუყო, ფეფე, სალოცავია ჩვენი, სთქვა ქეთევანმა.

— რა ბძანებაა, წავა, აბა რასა იქს. ხატის და ჯვარის გახსენება და ხვეწნა ახლა უფრო გინდებიან: დაემოწმა ფეფიკო ქეთევანს.

— მერე ამას რა ვუყო, ვის ვანდო? აჩვენა დარიამ თავისი ჩჩვილი ბავშვი, რომელიც მადიანად სწოვდა რძეს დარიას სავსე ძუძუდან.

— ჯვარი გიწერია ჩემი თვალისაგან. რა ანგელოზია! თლათ მამაა გამოსახული, სთქვა ფეფიკომ, როცა დაჰხედა ბავშვს და მერე დაატანა: —ბიჩა, რა დიდი საქმეა ერთ ღამეს ვინმემ ბობში შეგინახოს მეზობლობაში! შენც მაგიერს გადუხდი.

— ბატონო, აბა, რაღამაც საშველი არაა აქ, ასე ვიზამ: შვა-ღამემდი ვათევ, შვაღამეზე ჩამოვალ შინ და ხვალ წირვაზე წავალ,—დაეკითხა დარია დედამთილს. მერე მიუბრუნდა ფეფიკოს:—შენ რას იზამ, შენ არ წამოხვალ ნაშვაღამეს, ფეფიკო?

— მე? რა ვიცი, ეგება მეც ქე წამოვიდე. თუ არა და რა გიჭირს ამ ერთ წხთა გზაზე! მერე კიდევ მთვარით გადაკიანთებული იქნება ცა და მიწა. ახლა, ქალო, ძველი დრო ხომ აღარ არის, ადამიანს რომ ყიდდენ. ახლა გინდა დღე იარე, გინდა ღამე, ფიქრი ნუ გაქ, უთხრა ფეფიკომ.

— ვაჟო, მაინც ვთქვი, თუ არა, რამდენი მიარია ღამე ძროხის საძებნელად ტყეში! იმედიანად სთქვა დარიამ.

— აკი არ თქვი! დაუდასტურა სიტყვა ფეფიკომ, წამოდგა, „აგიშენოს“ დაუტოვა მასპინძელს, მერე კიდევ დაეკითხა დარიას,—„აბა ნამდვილ წამოხვალ ხომე, გამოგიაროო“ და წავიდა შინ.

— აბა ასე ქენი, რავაც თქვი: ნაშვაღამევს დაბრუნდი და ხვალ წირვაზე წადი, უთხრა კიდევ რძალს ქეთევანმა, როცა ფეფე წავიდა.

რომ მოსაღამურდა, დარიამ ერთი კიდევ კირგად გააძღო თავისი გაბრიელა რძით, მერე დახედა: „დედაო, შვაღამემდი ვინ მოსცილდება ამ ანგელოზსა-“ო სთქვა და ჩაკოცნა ბავშვი და წაიყვანა მეზობლისას. როცა დაბრუნდა, გადაიცვა ახალი კაბა, რომელიც, რაც სიმონა დააპატიმრეს, მერე ზანდუკში ჰქონდა შენახული და ერთხელაც არ ჩაეცა, და დაუწყო ცდა ფეფიკოს. ცოტა ხანს შემდეგ ფეფიკომაც გამოიარა და ერთად წავიდნენ ეკკლესიაზე.

ე. ნინოშვილი

(შემდეგი იქნება)

ერობამა დ ქალაქმაო. ერობა მოჰკიდებს ხელს გზის კეთებას ქალის მიჯნებიდგან აქსტაფისაკენ, ხოლო მიჯნებიდგან მაცაკანის ხიდამდე ქალაქის თვით-მმართველობამ უნდა იკისროსო. გამგეობა იმ აზრისა იყო, რომ ქალაქი აქამდე იხდიდა სახელმწიფო ხარჯს უძრავ ქონებისას წელიწადში ოთხი ათას მანეთზე მეტს და ამას იქით თითქმის შვიდი ათასი თუმანი შეგვაწერესო. ეს ხარჯი სწორედ საერო ხარჯია და ამიტომ უკეთუ აქსტაფისკენ ერობას აკისრებინებენ გზის ხარჯს, მაცაკანის ხიდამდეც იმასვე უნდა დაავალონო, და ამიტომ ქალაქმა უარი უნდა განაცხადოს ამ გზა-ტკეცილის შეკეთებაზეო.

ხმ. ბაქრაძემ და ჩოლოყაშვილმა ხანგრძლივ ილაპარაკეს იმის შესახებ, რომ ერევნის გზა თავმინებებულია მას აქეთ, რაც ბაქოს გზა იქმნა გაყვანილიო. ხალხის მისვლა-მოსვლა-კი ამ გზაზე საკმარისად დიდია ეხლაც. გზა საშინლადა ფუჭდება, დღემდის ხელს არავინა ჰკიდებს. მაცაკანის ხიდიდგან ძველ დამოჟნამდე მოქალაქენი სცხოვრობენ, ხარჯს გვაძლევენ და გზას-კი არ ვაძლევთ. ჩვენ რომ მაგ მიწერ-მოწერის გათავებას შევყუროთ, ბოლო აღარ ექმნება. გამგეობას უეჭველია ახლა სხვა პასუხი მოუვა საგუბერნიო კრებულისაგან, შემდეგ იმ პასუხის პასუხს მისწერს გამგეობა და ასე ივლის საქმე ერთის კანცელარიიდგან მეორეში. გზა-კი თანდათან უფრო და უფრო ისე წახდება, რომ შემდეგ, როდესაც მოქალაქენი სამართლიანად მოგვმართვენ და გვეტყვიან—აღარ შეგვიძლიან ამისთანა გზაზე სიარულიო, კაცი ფეხს ვეღარ გასდგამს უშიშრადაო, მაშინ ერთი-ათად მეტი ხარჯი მოგვივა, ვიდრე ეხლა, რომ დროზე მივატანოთ და შევაკეთოთო. ამ მოსაზრებათა გამო ხმოსნები ურჩევდნენ საბჭოს, რომ ქალაქმა იკისროს გზის პატრონობა, გასწიოს ხარჯი და ეს ხარჯი ცალკე ანგარიშითა სწეროს. მერე, როდესაც გადასწყდება, თუ ვისი ვალია მაგ გზის ხარჯი, მაშინ მოსთხოვოს დახარჯული ფული იმ დაწესებულებას, რომელსაც აკისრებენ გზის შენახვასაო.

გამგეობის აზრით-კი არავითარი საჭიროება არ მოითხოვს ამ საქმეში აჩქარებას, რადგან ამ მოკლე ხანში უნდა გადასწყდეს საგუბერნიო კრებულში ეს საგანი და მაშინა ვნახავთ, შეტანილი იქნება ერევნის გზის ხარჯი საერო ხარჯთ-აღრიცხვაში თუ არაო. უკეთუ არ შეიტანეს, მაშინ კვლავ შეგვიძლიან ვიქონიოთ ბაასიო.

საბჭომ დაამტკიცა გამგეობის მოხსენება.

ხმ. არჯევანიძე შეეკითხა გამგეობას, როდემდის უნდა იქმნას შეკრული ციციანოვის აღმართი და ავლაბრის ქვემო ხიდიო? ხმოსანი ჰფიქრობს, რომ შეუძლებელია ამ გზების შეკვრა დიდის ხნით, რადგან ამ საშუალებით ვაძნელებთ მისვლა-მოსვლას ავლაბარსა და ქალაქის დანარჩენ ნაწილთა შორის. ავლაბრის ხიდთან ხომ დუქნებიც-კი დავკეტეთ, რომ ხალხი არ დაზიანდეს. როდემდის? მაგით ხომ ზარალი მოსდით დუქნების პატრონებს. ამის გამო საჭიროა იცოდეს საბჭომ, რა ღონისძიებაა მიღებული გამგეობის მიერ, რომ მოკლე ხანში კვლავ გაიხსნას ეგ გზები და ერთმანეთს მოწყვეტილს ნაწილებს ჩვენის ქალაქისას კვლავ შეეძლოს დაუბრკოლებელი მისვლა-მოსვლა ერთი-ერთმანეთში.

ქალაქის მოურავმა ამის შესახებ სთქვა, რომ ამ თბილ ზამთრის გამო ავლაბრის ასავალს კლდეებზე ძლიერ ჰჟვენავს წყალი, ალბობს და ანგრევს თვით კლდესა და დიდრონი ქვები ცვივა ძირს. ქალაქის ინჟენერთან ერთად რამდენჯერმე ვიყავი იმ ადგილებში და ინჟენერმა თვალით დამანახვა, რამდენად საშიშია ხალხის სიარული ამ გზებზე. ინჟენერის აზრით, ან უეჭველად უნდა შეიკრას იგი გზები, ან არა და გვირაბი უნდა იქმნას გაყვანილი და დაიხარჯოს არა ნაკლებ ორმოცის ათასის მანეთისა.

ხმ. ბაბოვი. კვლავაც ჩამოწვებოდა ხოლმე ციციანოვის აღმართზე დიდრონი ქვები, მაგრამ გამგეობას გზა-კი არ შეუკრავს. უბედურობის ასაცდენად შეათვალიერებდნენ ხოლმე კლდეს და ძალად ჩამოანგრევდნენ იმ ქვებს, რომელიც ჩამოწოლას აპირებდა. ეხლაც ასე უნდა დაგვეჭირათ თავდარიგი. თორემ რასა ჰგავს, ათას თუმნობით ჩავყარეთ ფული, თავი მოგვქონდა—გზა გავაკეთეთო, და ის-კი არა თუ ავიღეთ ახლა და შევკარით.

ხმ. ზუბალოვი. ჩვენი ინჟენერი კარგს იზამდა, რომ მოეწვია უცოდინარი ბერძნები და ეკითხნა, როგორ უნდა ჩამოიწმინდოს აღმართის კლდეებიო, და ისინი ერთს წამს ასწავლიდნენ. ძლიერ ბევრი ოქმი იყო შეყენებული მაგ გზის შესახებ, როდესაც ხელმწიფე იმპერატორი კახეთისაკენ მიბძანდებოდა, და ყოველი ეს ოქმი თვითოეულად ჰმოწმობდა ციციანოვის აღმართის სიმკვიდრეს, გზის სიმაგრეს. მაშასადამე, მანდ ისეთი საშიში არა უნდა იყოსრა, გაწმენდის მეტი არა დასჭირდებარა. საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენი შენობათა განყოფილება ვერ არის ჯეროვანად დაყენებული. აბა რას ეგვანებოდა ის შენობათა განყოფილება, რომელსაც ჩააბარებდით ნიკოლოზ ზუბალოვს. რომელი ინჟენერი გახლავართ, რომ ასეთი განყოფილება მეკისრნა. აგრეთვე ითქმის ბ-ნ იზმაილოვის შესახებაც, რომელსაც აბარია შენობათა განყოფილება. მართალია თუ არა, პავლე ალექსანდრეს ძევ? (იცინიან). ჩვენ იმოდენა საინჟენერო საქმეები გვაქვს, რომ უეჭველად ერთ-ერთი წევრი გამგეობისა ინჟენერი უნდა გვყავდეს და აქ გამგეობასთან გვეჯდეს, რომ ყოველს ამისთანა შემთხვევაში გზა გვიჩვენოს. ა. ს. მატინოვმა-კი აგვკიდა დაქირავებული ინჟენერი, რომელსაც არ შეუძლიან თავისუფალი სიარული საბჭოში. ეს საქმე უნდა ხელ-მეორედ გადავსინჯოთ და სხვაფრივ მოვაწყოთ საქმე.

საბჭომ მიანდო ამ საგნის ჯეროვანი გამოკვლევა და მიღება ღონისძიებათა შესახებ გზების გახსნისა გამგეობას, რომელმაც შემდეგს კრებას უნდა წარუდგინოს მოხსენება.

შემდეგ ბაასი გამოიწვია ხმ. შახაზიზოვის მოხსენებამ პაპკოვის წისქვილის შესახებ. პაპკოვს გამართული აქვს საგუბარი პატარა მტკვარზე. წყალი შეგუბებულია და ზაფხულობით საშინელი სუნი დგება ხოლმე იმ ადგილებში. საბჭომ მიანდო გამგეობას შედგენა ამის შესახებ მოხსენებისა, რომელშიაც აღნიშნული უნდა იყოს ყოველი ცნობა მასზედ, თუ რა განწყობილებაა ქალაქსა და პაპკოვს შორის.

ბოლოს კენჭი უყარეს ბ-ნს პორფირიევს და ხმ. კანდურალოს გამგეობის წევრთა კანდიდატობაზე. პირველმა მიიღო სამი თეთრი კენჭი, მეორემ თორმეტი, ამის გამო არც ერთი არჩეულ არ იქმნა.

---

## ნ ა რ კ ვ ე ვ ი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

მოგვყავს რამდენისამე მწერლის აზრი ომის შესახებ. აი, მაგალითად, რას ამბობს გიუ-დე მოპასანი:

ომი! გამახსენდება თუ არა ეგ სიტყვა, შიშის ზარი დამეცემა და ჟრჟოლა ამიტანს ხოლმე. ასე მგონია, კუდიანების შესახებ მელაპარაკებიან, ინკვიზიციის საშინელს ამბებს მიამბობენ მეთქი. ფიქრი გამიტაცებს და მაგონდება რომელიღაც დიდის ხნის ძველი ამბავი, საშინელი და საზარელი, ბუნების წინააღმდეგი.

უფრო საყურადღებოა აზრი რენანისა.

გული მოუკვდება კაცს მწუხარებითაო,—სწერდა მშვიდობიანი ბრძენი ერთის ომის შემდეგ,—როცა დაფიქრდება და გაითვალისწინებს, რომ ყოველივე, რაც ჩვენ, მეცნიერების მსახურნი, ვსცდილობდით 50 წლის განმავლობაში გაგვეკეთებინა, უცბად გაჰქრა და დაიღუპა: ერთა-შორის თანაგრძნობაცა, ერთმანეთის გაგებაცა და ნაყოფიერი საერთო შრომაცა. მერე რა ნაირად ჰფხვრის ადამიანის გულიდგან ასეთი ომი ჭეშმარიტების სიყვარულს! ვინ იცის, რა ტყუილს, რა ცილის წამებას არ დაიჯერებს 50 წლის შემდეგ ერთი ერი მეორეს შესახებ, რომ კვლავ შებრძოლონ და განშორდნენ ერთმანეთს საუკუნოდ! დიდი დაბრკოლება და ხარახა ასეთი ამბავი წარმატებისათვის. ასს წელიწადში ვეღარ შევიძენთ იმას, რაც ამ ომით სალხმა დაამხო ერთს დღეს მირს.

მოვიყვანთ ფლობერის აზრსაც. გუსტავ ფლობერს შემდეგი წერილი მიუწერია ჟორჟ-ზანდისთვის მაშინ, როცა, ის-ის იყო, დაწყებული ომი გერმანიასა და საფრანგეთს შორის:

ღამის გავგიჟდეო, სწერს ფლობერი: ჩემთა თანა-მემამულეთა სისულელისაგან. დიდად მაწუხებს ეს გაჯაუტებული ბარბაროსობა კაცობრიობისა. ვნატრობ, ნეტავ მომკლა და არ-კი დამანახვა ეს აღტაცება და ენტუზიაზმი, რომელსაც არავითარი აზრი და იდეა არ ასულდგმულებს და არ აცხოველებს. ჩვენს გულ-კეთილს ფრანგს გულითა და სულით უნდა ბრძოლა და მერე რისთვის? პირველად იმისთვის, რომ ჰგონია, ვითომ პრუსია მაიძულებსო; მეორედ იმიტომ, რომ ნადირ-კაცად ყოფნაა ბუნებური მდგომარეობა კაცობრიობისა; მესამედ კიდევ იმიტომ, რომ ომს ისეთი მისტიკური ფხვნილი აქვს მოყრილი, რომელიც იზიდავს ადამიანს. ნუ თუ კვლავ დავუბრუნდით იმ დროს, როცა ტომი ტომს ეომებოდა განუწყვეტლივ? დიდად საშიშია ეს ამბავი... საშინელი სისხლის ღვრა უნდა ატყდეს საცაა და ნეტავ საბაბი რამ მაინც იყოს. უნდათ ჟლეტა ერთმანეთის ჟლეტისასათვის და სხვა არაფერი. რა ნაირ მენანება ის ხიდები და გვირაბები, რომელსაც მისცემენ ნაღმს და სრულიად დაამსხვრევენ. აფსუსი არ არის, რომ ამოდენა ჯაფა და შრომა ადამიანისა ტყუილ-უბრალოდ უნდა დაიკარგოს. გაიგონებდით, რომ ვიღაც ერთმა ვაჟბატონმა უბრძა პალატას, ავიღოთ დიდი საჭურველი ბადენისაო. ოჰ, ნეტა შეშლილს და ბედიუნებს შორის ვცხოვრობდე!

---

## კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლოს მატიანე

(გორი, 27 იანვარს)

საქმე ტატე ჯიოშვილისა, სანდრო ხუბულურისა და ალექსი ხასიშვილისა, რომელთაც ჰბრალდებათ ქურდობა, ძარცვა და კაცების დახოცვა.

სამსჯავროში თავმჯდომარეობს წევრი სასამართლოსი პოლკოვნიკი ხრჟანოვსკი, ბრალსა სდებს თანაშემწე სამხედრო ბრალმდებელისა ვოლკოვი, ბრალდებულთ იცავს კანდიდატი სამოსამართლო თანამდებობათა კაპიტანი არტამონოვი. საქმე ირჩევა სამხედრო საკრებულოს სადგომში.

საბრალმდებელო ოქმში შემდეგია მოხსენებული:

1891 წ. მაისის 25-ს, საღამოს 7 საათზე, გორის მაზრის სოფელს ბრეთში მივიდნენ ცხინვალელი ებრაელები ძმანი ედილაშვილები და სთქვეს, ეს არის ეხლა ავაზაკები დაგვეცნენ, ფულები უნდოდათ წაერთმიათ, მაგრამ, რაკი გაიგეს, რომ ჩვენ მიხეილის შვილები ვართ, თავი დაგვანებესო. ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, უცებ ყვირილიც შემოესმათ: „ტიმოთე მოჰკლესო“. გაიქცნენ ამ ყვირილზე და დაინახეს, რომ იმათი ძმისწული მართლაც ძლიერ ნაცემი ძლივს-ღა მოდიოდა. უკან მისდევდა სამი ცხენიანი კაცი. ერთმა მათგანმა გაულო თოფი და იქვე წააქცია უიმისოდაც ცოცხალმკვდარი ტიმოთე. ამას შემდეგ ავაზაკებმა ორჯელ კიდევ გაისროლეს თოფი და მერე ცხინვალისკენ გასწიეს. გაიარეს თუ არა $1^1/_2$ ვერსი გზა, შემოეყარათ ბრეთელი მღვდელი ედილაშვილი თავისის დიაკვნით. ავაზაკებმა შესძახეს, აბა გადმოხდით და თქვენი ცხენები დაგვითმეთ, ეს არის ეხლა კაცი მოვკალით და გვეშურება—კარგი ცხენები გვინდაო. წაართვეს ცხენები და სამაგიეროდ თავიანთი დაქანცული ცხენები დაუტოვეს. დაჭერის შემდეგ ბრალდებულთ აღიარეს, მართალია, ჩვენ მოვკალით ტიმოთე ედილაშვილი და მღვდელ-დიაკვანს იმიტომ წავართვით ცხენები, რომ მალე მოვშორებოდით იქაურობასაო.

იმავე წელს, 7 თიბათვეს, საღამოჟამს, ბრალდებულნი მივიდნენ არდანახის საზოგადოების მცხოვრებ დავლიშვილისას და ჰკითხეს, შენი შვილი მიხა სად არის, იმის მოსაკლავად მოვედითო. დავლიშვილმა რომ უთხრა, შინ არ არისო, ერთმა ბრალდებულთაგანმა თოფი ესროლა, მაგრამ ააცდინა. შემდეგ სამნივე მისცვივდნენ დავლიშვილს და ცემა დაუწყეს. მას უკან ორნი სახლში შეცვივდნენ და ძარცვა დაიწყეს. სახლშივე საშინლადა სცემეს დავლიშვილის რძალს მარიამს. ამ დროს კარში მდგომს ავაზაკთან მივიდა მიხა. ავაზაკმა თოფი დასცა და იქვე მოჰკლა მიხა. მიხა იმიტომ მოჰკლეს ავაზაკებმა, რომ ეჭვი ჰქონდათ, მაგან დაგვაბეზღა, ცხენებს იპარავენო.

ორის დღის შემდეგ გლეხები შიოშვილები რკინის გზის სადგურ „გორიდგან“ ორის ვერსის სიშორეზე ცხენებით მიდიოდნენ. შემოეყარათ სამი ავაზაკი, რომელთაც ჰკითხეს, სად მიდიხართო. შიოშვილებმა პასუხი მისცეს და გზა განაგრძეს. ერთი ავაზაკთაგანი მიჰვარდა სანდრო შიოშვილს დაუწყო ცემა და ფულსა სთხოვდა. სანდრო გადმოხტა ცხენიდგან და რკინის გზის პირის „ბუდკაში“ შევარდა. გამოუდგა ერთი ავაზაკთაგანი, წაართვა ვერცხლის ქამარი, ხუთი თუმანი ფული და მხარშიაც დასჭრა მსუბუქად. შემდეგ ავაზაკებმა გაიტაცეს სანდროს ცხენი და სოფელ სკრასაკენ გაიქცნენ. ბრალდებულთ აღიარეს ეს დანაშაული და სთქვეს, იმიტომ გავძარცვეთ შიოშვილი, რომ, როცა ვკითხეთ, სად მიდიხართო, გინება დაგვიწყეს და მათრახით ცემასაც გვიქადიდნენო.

იმავე წელს, 20 თიბათვეს, გლეხს ყარამან ბურაშვილთან მივიდა იმისი სიძე უმარი და უთხრა იმასა და იმის ძმას გუდოს, ტყეში ავაზაკები შემხვდნენ, დამაბარეს თქვენთან, ფული ამოგვიტანეთ, თორემ დაგეცემით, დაგხოცავთ და აგიკლებთო. ბურაშვილი წავიდა ტყეში ავაზაკებთან. ავაზაკებმა ოცი თუმანი მოსთხოვეს. ბურაშვილი შეეხვეწა, დამაცადეთო. მაგრამ როცა სახლში მოვიდა, უმფროსი ძმა არ დასთანხმდა, ფული რომ მივცეთ ავაზაკებს, პოლიცია დაგვსჯისო. საღამოზე, მზის ჩასვლისას, ტყიდგან წამოვიდნენ ავაზაკები თოფის სროლით დ ბურაშვილის სახლს მიადგნენ. გვითხარი, სადა გაქვს შენახული ფულიო. ბურაშვილი რომ უარზე დადგა, ავაზაკებმა სცემეს დ ჯიბიდგანაც ორმოცი თუმანი ამოაცალეს. ამავე დროს იმისი ძმა გუდო დასჭრეს და, როცა წაიქცა, გამოათრიეს და ორის საჟენის სიმაღლიდგან ძირს გადმოაგდეს. გუდო იქვე გარდაიცვალა. შემდეგ ავაზაკები შევიდნენ სახლში, გატეხეს გუდოს ოთახის კარები და სამოცი თუმანი გამოიტანეს.

30 თიბათვესვე 1891 წელს, ნაშუადღევის სამს საათზე, სოფელს კოშკში გლეხის გუგოტიშვილისას მივიდა ხუთი ავაზაკი, თოფები მიუშვირეს იმასა და იქ შეგროვილს ხალხს, ხალხს უთხრეს გაიფანტენითო და გუგოტიშვილს-კი ფულის თხოვნა დაუწყეს. ხალხი გაიფანტა, ხოლო ავაზაკები შევიდნენ გუგოტიშვილის სახლში, ერთის საათის განმავლობაში ააქოთეს იქაურობა და შემდეგ გაიქცნენ სოფელ ხევსურისაკენ. გუგოტიშვილი ოთხს ალაგას დაჭრილი იყო ხანჯლით და ორს ალაგას მუცელში ტყვია ჰქონდა მოხვედრილი, რის გამო იქვე დალია სული. სახლი მთლად აკლებული იყო. ორს საათს შემდეგ იგივე ბრბო ავაზაკთა სოფელს კულბითთან მივიდა, დაუძახეს გლეხს კალეხსიშვილსა და ტეხაშვილს, ბარათები გაატანეს ერთი მღვდელს ოქროპირიძესთან და ერთიც ვილაც თრამაკიძესთან, ფულები და ცხენები გამოგვიგზავნეთ, თორემ ძალას ვიხმართო. მღვდელმა მაშინვე გაატანა ცხენი კალესხიშვილს და თანაც დააბარა, ბოდიში მომხადე, რომ ფული-კი არა მაქვსო; ხოლო თრამაკიძემ თვითონ მიჰგვარა ავაზაკებს თავისი ცხენი. ერთს ბარათს ბოლოზე ეწერა ქართულად: „ბრბო ტატესი და სანდროსი“ და მეორეზედ—„ყაჩაღები გწერთო“.

ასეთმა გამუდმებულმა ავაზაკობის

ამბავმა გორის მაზრაში იძულებულ ჰყო ტფილისის გუბერნატორი შეედგინა განსაკუთრებული რაზმი, ავაზაკთა ბრბოს დასაჭერად. რაზმში მოჰყვნენ უფროსები დისტანციისა ჯამბულათოვი და თავ. ფაღავა. 1891 წელს, 14 ივნისს ხსენებულს რაზმს შეატყობინეს, ავაზაკები ჯავის საზოგადოებაში არიანო. რაზმი გაემგზავრა სოფელს ზემოხცევში, სადაც იქაურს გლეხს ტიბილიშვილისას აღმოჩნდნენ ბრალდებულნი ხუბულური და ხასიშვილი, ხოლო ჯიოშვილი თავისს ამხანაგებს უცდიდა მდინარე ლიახვის პირზე. რაზმმა სროლა აუტეხა ჯიოშვილს, ფეხში დასჭრა და იმანაც იარაღი აიყარა და დაჰნებდა. თოფის სროლის ხმაზე ტიბიშვილის სახლიდგან გამოცვივდნენ ხუბულური და ხასიშვილი და ლიახვის გაღმიდგან დაუწყეს თოფის სროლა რაზმს. რაკი შეიტყეს, რომ ჯიოშვილი ვეღარ მოგვემხრობაო, ტყისკენ დაიწიეს და თან სროლაც არ შეუწყვეტიათ. ამ დროს თავ. ფაღავა მძიმედ დაიჭრა ფეხში. ავაზაკები ხიდს გავიდნენ და ტყეში აპირობდნენ დამალვას, მაგრამ განუწყვეტელმა თოფის სროლამ რაზმის მხრივ ვეღარ მოახერხებინა დამალვა. მაშინ ავაზაკები ქვებს ამოეფარნენ ტყის პირას, სროლა იქიდგან დაიწყეს და თან ცდილობდნენ ტყემდე მიღწევას. რაზმი გამოეკიდა ტყეშიაც და იქ-კი ხუბულური დაჰნებდა მამასახლის; დავიჭერი, წინააღმდეგობა აღარ შემიძლიანო. ხასიშვილმა მოასწრო გაქცევა, მაგრამ იმავე საღამოს სოფელს კოშკში დაიჭირეს. შეპყრობილს ავაზაკებს წაართვეს სამი თოფი პიბოდისა, ხანჯალი და მრავალი სხვა ნივთი. გამოძიების დროს ბრალდებულთ ყველა ზემოხსენებული დანაშაული აღიარეს და იმაშიაც გამოტყდნენ, ჩვენ და სხვათ ერთად ავაზაკთა ბრბო გვქონდა შედგენილიო.

ყოველ ზემოხსენებულისა გამო გორის მაზრის მცხოვრებნი, ოსები ტატე ჯიოშვილი, 28 წლისა, სანდრო ხუბულური, 27 წლისა და ალექსი ხასიშვილი, 25 წლისა, განსაკუთრებულ უმაღლესის ბრძანებისამებრ მიცემულნი არიან სამხედრო სისხლის სამართალში და დასჯილი უნდა იქმნენ ომის დროის კანონების მიხედვით. ბრალდებულთ ნება არა აქვთ კასსაციისა და განაჩენი სასამართლოსი უნდა დაამტკიცოს კავკასიის ოლქის ჯარების უფროსმა.

(შემდეგი იქნება)

## წვრილი ამბავი

პრინცი გეორგი ათინაში ავად გახდა ინფლუენცით.

— ლეიპციგში კავკასიის შესახებ ახალი წიგნი დაიბეჭდა, რომელსაც ეწოდება: „Aus dem Kaukasus. Reisen und Studien von K. Hahn“ (მოგზაურობა კავკასიაში). ამ წიგნის დამწერს ბ. ჰანს სხვა-და-სხვა დროს ყოველივე ეს წერილებად უწერია გერმანიის სხვა-და-სხვა ჟურნალში. მეორე წიგნი კიდევ ფიშერმა გამოსცა ბერნში „Zwei Kaukasus-Fxpeditionen von A. Fisches. („ორგზის მოგზაურობა კავკასიაში“).

— საფრანგეთში ინფლუენცამ ძლიერ გაიდგა ფესი. პარიჟში ინფლუენცით ავად გახდა თვით დედოფალი ნატალია. ქალაქს ბოში 24 საათის განმავლობაში ინფლუენცამ თან გადიტანა გამოჩენილი გენერალი შიზალი, ბელგიის სამხედრო მინისტრად ნამყოფი, და იმისი ცოლი. განსაკუთრებით ინფლუენცა პარიჟში მძვინვარებს თურმე.

— „Journal officiel“-ში დაბეჭდილია ფრიად საყურადღებო სასტატისტიკო ცნობები საფრანგეთის მკვიდრთა გამრავლების შესახებ 1890 წლის განმავლობაში. ამ ცნობებიდგანა სჩანს, რომ 1890 წელს საფრანგეთში დაბადებულა სულ 837,059 კაცი, ამათში 71,086 უკანონოდ. იმავე წელიწადს მომკვდარა 876,505 კაცი, ასე რომ გარდაცვლილთა რიცხვი 38.446 კაცით აღემატება დაბადებულის რიცხვს. ეს სამწუხარო ამბავი წინადაც იყო ცნობილი, მაგრამ ეხლა ოფიციალურად არის გამოცხადებული.

— კლეველანდში, ოგეიოს შტატში, ამერიკელმა ამსტუცმა ერთი ახალი მანქანა გამოიგონა, რომლის შეწყობითაც თუ ტელეგრაფი დაიხმარეს, შორიდგან შეიძლება ფოტოგრაფიის სურათის გადაღება. ახალ მოგონებათა მსოფლიო მიმოხილვა ამ მანქანის შესახებ ამბობს, რომ იმედი უნდა გვქონდეს, ამიერიდგან ადამიანს შეეძლება შორსაც ყველაფერი დაინახოსო.

## წერილები რედაქციის მიმართ

### I

„ივერიის“ მე-14 №-ში დაბეჭდილია წერილი ქართველის მაჰმადიანის აბდულ ეფენდი მიქელაძესი, რომელიც, სხვათა შორის, სწერს, რომ ხალხმა მოწინავე კაცები ამოირჩია, ტფილისში გაჰგზავნა და დაავალა, მთავარ-მართებელს თხოვნა მიართვით იმის შესახებ, რომ ხარჯი არ მოგვიმატონ და ისე გამოგვართონ, როგორც აქამდის გვიძლევიაო. ხალხმა ფული დახარჯა, მოწინავე კაცები გაგზავნა, მაგრამ წელს-კი მაინც ხარჯი მომატებული აიღესო. რა გააკეთეს ამ კაცებმა, ეს ჩვენ არ ვიცითო. ამ საქმის შესახებ უნდა ვსთქვა შემდეგი: შარშან, ნოემბრის გასულს, ტფილისში ჩამოვიდა ოთხი ქართველი მაჰმადიანი, სახელდობრ: 1, ასანაღა ფირანოღლი კონტრიძე. სოფ. მერისიდამ; 2, აბდულაღა ჯიჯავახალაძშვილი, სოფ. კაიოდამ; 3, ჭაიათ ბაირასტაროღლი დუმბაძე სოფ. ალიქოღლიდამ და მეოთხე უზეირ აღა დევრიშოღლი დევიძე სოფ. აგერიდამ. ამათ ტფილისში დაჭყვეს ერთი ვკირა. თხოვნა მიართვეს კავკასიის მთავარ-მართებელს. როგორც აღმოჩნდა, თხოვნის შეწყნარება მალე არ მოხერხდება. მთავრობა ყოველს ცნობას შეკრებს და მერე მოახდენს განკარგულებას ამ ცნობათა მიხედვით. შესაძლოა, რომ საქმე წელსვე გადაწყდეს და სამერმისოდ ისევ წინანდებურად გამოერთვათ მაჰმადიანს ქართველებს ხარჯი. ამ სახით ამორჩეულმა კაცებმა ის გააკეთეს, რომ თხოვნა მიართვეს, სადაც ჯერ იყო და შემდეგ, მთავრობისაგან დაიმედებულნი, შინ გაემგზავრნენ.

ზ. ჭიჭინაძე

### II

ნება გვიბოძეთ თქვენის გაზეთის შემწეობით გულითადი მადლობა გამოუცხადოთ ქართულ საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილის“ რედაქტორს ქ-ნს ანასტასია მიხეილის ასულს თუმანიშვილი-წერეთლისას, რომელიც უსასყიდლოდ გვიგზავნის 1891 წლიდგან ყველა ნომრებს თავის ჟურნალისას.

ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის ქართველი შეგირდები.

24 იანვარს.

## დეპეშა

27 იანვარი

**ლებედიანი.** მთელის მაზრიდგან ყოველ-გვარის პურის გატანა აღკრძალულია.

**ვენა.** იმპერიის სამხედრო მინისტრმა ბრძანება გასცა, რომ გამოიძიეთ საქმენი ჯარის-კაცებთან ცუდად მოპყრობის შესახებო. აქ იგულისხმება ის ამ გვარნი ავსტრო-ვენგრიის ჯარში მომხდარნი საქმენი, რომელმაც შარშან სასამართლომდე მიაღწია.

28 იანვარი

**პეტერბურგი.** ხელის მოწერა მოსკოვ-ყაზანის რკინის გზის 4% სესხისა უკვე გამოაცხადეს.

„Новое Время“ იუწყება, დიდ-ოკეანის ესკადრას 11 დიდ საომარ გემამდე შეასრულებენ, სანაღმო და დასახმარს გემებს გარდაო.

**პეტროზავოდსკი.** გუბერნატორის პროტესტის გამო საგუბერნიო საერობო კრებამ გადასდო ფულით დასაჩუქრება ერობის მაზრის მოხელეთა.

**ათინა.** მემკვიდრე პრინცესსა სოფიო ინფლუენცათი ავად გახდა.

პეტერბურგის ბირჟა, 24 იანვარი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 8, 13 | 8, 16 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 162½ | 163 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1, 17 | 1, 19 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 236½ |
| —მეორისა . . . | — ,, | — ,, | 226½ |
| —მესამისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | 199 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | — ,, | — ,, | — ,, |
| 6%. . . . . . | 102¼ | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | 98¾ | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | 102¼ | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98¾ | — ,, | — ,, |

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1892 წ. 18 იანვრიდამ ახალი განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „
„ „ 2
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „
„ „ „ 2 „ „ „
„ „ „ 3 „ „ „

ჯვარის მამის პურის ლავაში.

1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. კ.
მე-2 „ „ „ „ „
მე-3 „ „ „ „ „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 8 „
„ „ 2 „ „
სუკი — — — 14 „
ცხვრის ხორცი — — 8 „
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ. 7 „
მე-2 ხარ. ტყავიანად 6 „

## რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

„ . . . , . „ . 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუაღ.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

### ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის:

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე; მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კ ვ ი რ ა ო ბ ი თ ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ, დ ი-ლით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის კერჩსა და ნოვოროსიისკზე. კ ვ ი რ ა ო ბ ი თ, დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. ს ა ხ ა ლ ხ ო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, განთიადისას.

ფოთიდგან გადის:

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობით საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაზღლოდაც.


# განცხადებანი

ახალგაზდა, კარგის დიპლომის მქონე

**მებაღეს**

**სურს ადგილი იშოვნოს.**

ადრესი იალტას. ყირიმის გუბერნიაში. ნიკიტას ბაღში მიჰმართეთ კ. ა. კოკს. (2—2)

დაიბეჭდა და იყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

**კრილოვის არაკები**

ნათარგმნი თ. აკაკი წერეთლის მიერ

ფასი 30 კაპ.

ვინც ოცდათს ცალს ან მეტს იყიდის ერთად ნაღდს ფულზე, თითო ცალი 24 კაპეიკად დაეთმობა.

„წერა-კითხვის საზოგადოების“

**წიგნის მაღაზიამ**

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი . . . . . | „ | 40 |
| ქართული კედლის კალენდარი 1892 წ. . . . | „ | 40 |
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი I, II და III ტომი თითო ტომი. . | 1 | 20 |
| იგივე მშვენიერს ქაღალდზედ და მშვენიერის ყდით, თითო ტომი ცალკე . . . . . . | 2 | 50 |
| სამივე ტომი. . . . | 7 | „ |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 20 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა . . . . . | „ | 80 |
| მარაბდა, პოემა ან. ფურცელაძისა . . . . . | „ | 20 |
| წყალობა პოემა მისივე . | „ | 20 |
| სურამის ციხე მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . | „ | 10 |
| დემონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიელისა. . . . . . | „ | 15 |
| ცდო I, II და III ნაწილი. თითო ნაწ. ცალკე. . | „ | 50 |
| ამი სხვერპლი, მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა . . | „ | 30 |
| ნაქვთები ბოთხრობანი დ. ერისთავისა . . . . | „ | 50 |
| თორნიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა . | 1 | „ |
| კიკოლიას ნაამბობი, პოემა მისივე . . . . . | „ | 20 |
| პატარა-კახი ისტორიული დრამა ლექსად მისივე . | „ | 50 |
| საყმაწვილო ამბები მისივე | „ | 40 |
| ძმური სიტყვა, დ. მაჩხანელისა, მეორე გამოცემა. | „ | 25 |
| თამარიანი ლექსად ს. გუგუნავასი . . . . . . | „ | 50 |
| თამარიანი ლექსად რ. ერისთავისა . . . . . | „ | 60 |
| თხზულ. რაფ. ერისთავისა II ნაწ. . . . . . | „ | 40 |
| ჰამლეტი. თარ. ინგლ. მაჩაბლისა . . . . . | „ | 30 |
| ოტელო, თარგმანი ინგლისურიდამ მისივე. . . | „ | 50 |
| ძუნწი, საყმ წ. სურათ. წიგნი შ. მღვიმელისა . | „ | 15 |
| მეფე ლირი შექსპირისა, თარგმანი ი. ჭავჭავაძისა და ი. მაჩაბლისა . . | „ | 60 |
| საქართველოს მოკლე ისტორია მ. ჯანაშვილისა | 1 | 60 |
| საეკკლესიო ისტორია მისივე . . . . . . | „ | 45 |
| იავნანამ რა ჰქნა? სმყაწვილო მოთხრობა ი. გოგებაშვილისა. . . . | „ | 10 |
| საზოგადო მიწათ მოქმედება, თხზ. მ. ზაალიშვილისა. . . . . . | „ | 20 |
| საზოგადო ზოოტეხნია ანუ საქონლის მოვლა-მოშენება მისივე . . . | „ | 25 |


Дозв. ценз. Тифлисъ, 28-го Января 1892 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.